

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИШ. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗ. „ПРОСВѢД.“

გაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლიხა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშხრათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადების: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-წილოს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პარიში, 28 აპრილს. ბარეშე საქმეთა მინისტრმა დეპუტატთ პალატაში სიტყვა: ზერ კიდევ არის მოლაპარაკება კონ-გრესის თაობაზე. იმედია, რომ ეს მო-ლაპარაკება მშვიდობიანობით გათავდება. საფრანგეთს ამ საქმეში ინტერესი არ ჰქონია, ის მხოლოდ შესცქეროდა სხვა სახელმწიფოებს და ურჩევდა იმათა, რა-საც საქაროდ ჰხედავდა. საფრანგეთს ყვე-ლა სახელმწიფოებთან კეთილი განწყო-ბილება აქვს.

მენა, 28 აპრილს. მსმალეთი თხოუ-ლობს, რომ რუსებმა აღრიანობოლა-მდინ დასწვან თავის ჯარები; რუსები კი მარტო ჩატალჯიმდინ ან ჩორხუ-მდინ აპირებენ უკან დაწევას. რუსის მთავარ კვარტირამ განაცხადა, რომ პეტერბურდიდამ მოელის ბრძანებას.

მენა, 28 აპრილს. ავსტრიის რეისნატ-ში პოლშელ დეპუტატებმა ჰკითხეს სა-მინისტროს—დაიჭერენ ავსტრიის ჯარე-ბი ბოსნიას, თუ არაო.

სტამბოლი, 27 აპრილს. შუმლიდამ მალე გაეღენ ოსმალოს ჯარები; დარ-ჩება მხოლოდ ცოტა ჯარი ზარბაზნები-სა და საომარ მასალების დასაცველად. მსმალეთი თხოულობს, რომ იმის-დაგ-ვარ როგორც ჩვენ გავიყვანთ ჩვენ ჯა-რებს, რუსებმაც სხვა ადგილებიდან გაიყ-ვანონ თავის ჯარებიო.

ხელ, 28-ს, მომეტებული ნაწილი სახმედრო იარაღი და მალაზიები რუსებ-მა სან-სტეფანოლად ჩატალჯიში უნდა გადაიტანონ. ახალი კონტრაქტების ძა-ლით, მეიჯარადრებმა ყველა მასალები და სურსათი აღრიანობოლში უნდა მი-ზიდონ.

პეტერბურლის ბირჟა, 27 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

	მან.	კაპ.
ლონდონი	23—50	" "
პისტერდამი	117	" "
ჰამბურგი	196—50	" "
პარიჟი	242	" "
შინაგანი სესხის ბილეთები 5%		
პირველი სესხის	229	75
გეორე სესხის	226	"
ბანკის ბილეთები:		

პირველი გამოცემის	97—12
მეორევი	95—12
მესამევი	95—
მეოთხევი	95—12
აღმოსავლეთის	93—75
მქრო, 1/2 იმპერიალი	8—30

საქართველო

დღიური

* * * ქალაქში უკვე დაიწყეს მზადება სპარსეთის შაჰის ღირსეულად დასაბე-დრად. შევლა ქუჩებზე, სადაც მისი დი-დებულება გამოივლის ქალაქში შემო-სვლის დროს ჩირაღდნებისა და ფანრე-ბისათვის სვეტებია დარტობილი, სასახ-ლის პირ-და-პირ, ნაობანტთან გაუკეთე-ბიან სპარსეთის გერბი, რომელიც წარ-მოადგენს ლომსა და მზეს, ლომს ხელ-ში ხმალი უჭირავს და სხვ.

ქალაქის სპარსელები დიდ ფაცა-ფუც-ში და სიხარულში არიან.

ამბობენ, რომ შაჰი 2-საან 3-ს იქნება თფილისშიო. იქას 20 კაციისაგან შემდ-გარი ამალი ახლავს.

* * * პეტერბურლის გაზეთებში დაბეჭ-დილია დებემა პატივგარსკის ქალაქის თავისა და იქაური ექიმის, რომელნიც აცხადებენ, რომ ამ მადნის წყლებზე წელს არავითარი სნეულობა, ავთმყო-ფობა და ჭირა არ არისო, ამ ჟამად აქეთკენ მშვენიერი ტაროლები არისო და ვისაც საექიმოდ მოსვლა ჰაურს, ნუ-რათფრის ეშინიან, მობრძანდესო....

* * * ამბობენ, ძასუმოვს რომ ავაზა-კები დასცემიან, რიცხვით 15 კაცამდინ ყოფილან და ცხენებით მოსულან, რომელნიც მანქის ეკლესიასთან დაუბამთ; და ისე წასულან თავის განზრახვის შე-სასრულებელად; შემდეგ დაბრუნებულან, შემსხდარან ისევ თავიანთ ცხენებზე და დაუბრკოლებლივ წასულან. ამბობენ, თვითონ ძასუმოვი მძიმედ არ არის და-ჭრილი; უკანიდამ აქვს მხარში რევოლ-ვერის ტყვია მოხვედრილიო და თუმცა ტყვია არ ამოუღიათ ჯერ, მაგრამ სიკვ-დილით არა უშავს-რაო.

* * * მტკვარი ამ ჟამად ძალიან ადი-დებულია. ბუშინ, სალამოს 3 საათზე მუხრანთან ხიდის (ძასუმოვის) პარამის მავთული გაუგლეჯია წყალს, გადაუბრუ-ნებია და, როგორც გვითხრეს, 5 კაცი

გადავარდნილა წყალში; მაგრამ, ღეთით ყველანი მშვიდობით გამოუყვანიათ.

* * * სურამისა და ხაშურის სტანცაებს შუა რკინის გზის ორი ყარაული სატა-ძე და წანავა ორივე მოკლულები უნახავთ საყარაულო ბუდკაში.

ამბობენ, ავაზაკებისაგან უნდა იყენენ ეს საწყლები მოკლული, რადგან ბუ-კაში მხოლოდ ერთი-ლა დამტვრეული ღია ზანდუკი იყო დარჩენილი, სხვა ყვე-ლაფერი წადებულა.

ამ საქმის თაობაზე გამოძიებაა დანი-შნული..

* * * შახის უფელში და განსაკუთრე-ბით შარაიხში კალია გაჩენილა.

* * * მმართველობის მოამბეში "გა-მოცხადებულა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ახალი მედალი გა-მოიცემა მსმალეთთან ომის სახსოვრად. ეს მედალი სამგვარი იქნება: ა) მო-ვერ(ცხლილი თითბრის (ბრონზის) მიე-ცემა ყველა იმ მეომარს, რომელიც ომის განმავლობაში რომელსამე ბრძო-ლაში დასწრებია; ბ) შავი ბრონძის მე-დალი მიეცემა იმათ, ვინც ბრძოლაში არ დასწრებია და გ) ვერცხლის მედალი იმას, ვინც შიპკოს მთებში მსახურებ-დნენ და აგრეთვე ვინც შაიხეთის და-ცვაში მიიღო მონაწილეობა.

„დროების“ კორამსპონდენცია

სიღნაღი, 18 აპრილს. ზაზაფხულის სიტომ მთელი დედა-მიწა გააღვიძა. ზამ-თრის სიცივისაგან დიხუთილი მცენა-რეები ეღირსნენ წელში გამართვას და ახალი სამოსლით შემოსვას. შიბინებს მდგლო და ათას ფეროვანი ყვავილები ამოდ სუნნელებას ჰფენენ. მერცხლის ტკბილი ჭაჭკიკო, სხვა-და-სხვა მფრინ-ველთა სტვენა-გალობა, მწერთ ღულუ-ნი, მათი მხიარული მოძრაობა და გაუწყ-ნარებელი ფაცა-ფუცი მეტად ამკობენ ბუნებას...

ამ მშვენიერ გაზაფხულის სიტურფემ ჩვენი სიღნაღელებიც გააღვიძა; ორთავე მოედნებზე ჩვეულებრივი ქოთქოთი და ტარბარი გაიმართა. საითაც გაიხედოთ, ყველანი საზაფხულო ტანისამოსში გა-მოწყობულან: ჩინოვნიკს პალტო მოუ-შორებია, ხელში თეთრი კიტელი უჭი-რავს და მიეჩქარება მკერვალთან შესა-კვრად; გულგადაღალნილი და დაკაპი-წებული მიკიტანი საესე ხელადებს მწვა-

რუსის აზრები

რუსეთის მზადება

წევრე მოქციევე ყმაწვილებთან მიარბენი-
ნებს; აქამომდე დურა ტყვეში გამოხვეუ-
ლი ხარაზი ახლა ახალუხი-სინაბარა მოჯ-
დომია დაზგას და ხელ ღონიერთ სცემს
მუშტ სამოგვის ნაჭერსა.

მერთი სიტყვით, მკვდრეთით აღდგო-
მას რო იტყვიან, ის ამბავია ჩვენს სილ-
ნაღში ამ ახალ გაზაფხულის პირას. მაგ-
რამ ვაითუ ამ გაზაფხულმაც მალე თავი
მოგვაწყინოს, და მერე რაღა შავს წყალს
ვეცნეთ?

სხვა ქალაქების - და - გვართ აქ არც
თეატრი იმართება არც მასკარადი, არც
სალამოები და არც ბალები. მართალია,
ჩვენც გვაქვს დროების გასატარებლად
ერთი კერძო სახლი, რომელსაც ჩვენი
სიღნაღელები სახელად კლუბს უწოდებ-
ენ; მაგრამ, საუბედუროდ, ეს ვერ აკმა-
ყოფილებს მთელი საზოგადოების სურ-
ვილს. აქ აკრებიება უმეტეს ნაწილად ის
პაწაწინა წრე ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც
სხვა-და-სხვა ნაირ ქალაქობა-
ში: პროფერანსში, იარალაში, სტოსში,
ასონაში და სხვა ამგვარ თამაშობაში
კარგა დახელოვნებულია...

თეატრის გამართვას როგორც იქნე-
ბოდა ჩვენც მოვახერხებდით და სასარ-
გებლოც იყო ჩვენებურ ზნეობით და-
ცემული ხალხისათვის, თუ რომ ერთი
ქალიც ვინმე აღმოჩენილიყოს ჩვენს
სიღნაღში, რომელსაც რომ სულ მცი-
რედი როლის აღება ეკისრნა.

იქნება იფიქროთ, რომ ჩვენში განათ-
ლებული მანდილონები არ იპოვებოდ-
ნენ? ჰო, არცთუ ეგრე ბლომად; მაგრამ
ვინც იპოვებინ, იმათაც ზოგს მზეთ-უნა-
ხაობა დაუწყია, ზოგს ბარდნიქმანივით
უჩინმაჩინის ქუდი დაუხურავს და აღარა-
ვის ეჩვენებინ თვალთ!

ამ დღებში აქ ერთი ვიღაც ნემეცია
თუ ფრანკუზი თავის ცოლი-თურთ გვეს-
ტუმრნენ. ასე ამბობენ „ფოკუსნიკები
ვართო“ და ჩვენსა სიღნაღელებმაც დიდის
პატივის ცემით დაუტალღეს კლუბი. მთე-
ლი დღევანდელი დღე ქუჭულებიანი კრუ-
ხივით დაფუსფუსებს კლუბში ეს ნემეცი,
რაღაც საფოკუსო დეკარაციას მართავს
ხვალისათვის. იქნება ბძანოს ღმერთმა
და ამ ფოკუსების წარმოდგენის დროს
ვინაზ ვინმე ჩვენებურ ქალებთაგანი! მთ
მართლა უჩინმაჩინის ქუდი არავის ჰხუ-
რავს, მივალ და ყველას სათითაოდ ჩავს-
ძახებ ყურში: — „ქალებო, არ სჯობია ამ
უსარგებლო ფოკუსების ნახვაში ფულის
ფანტვას, თეატრის წარმოდგენაში დაგ-
ვეხმართო და ამით მოქუჩებულო ფული,
შარშან რომ ვიღაც-ვიღაცეები საქალე-
ბო შკოლის გახსნას გვპირდებოდნენ,
ამას შევწიროთ-მეთქი?“

მთ „ჰო“ არ მითხრეს, მერე მეტი
ლონე აღარ არის, მეც ქუთათურ შეილდ-
ისრელივით ნადირობას უნდა მივეყო ხე-
ლი და სადაც კი ამ ნაირო ქალები შემ-
ხედებინ შეუბრალებლივ ვკაწრო...

მ. მნელ-ღებულა

ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში
მოყვანილია ერთი ფრანკუზული გაზე-
თის ცნობა იმის თაობაზედ, რომ მს-
მალეთის მართელები წინააღმდეგნი
არიან რუსეთთან შეერთებისაო.

ღღეს ამავე საგნის შესახებ ჩვენ ვკი-
თხულობთ ინგლისურს გაზეთს „Stan-
dard“-ში შემდეგი დევმა:

„სტამბოლი, 13 აპრილს. დიდი
მთავარის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის
მოთხოვნის თანახმად, მსმალეთის
სამხედრო სამინისტრომ ბათუმის ჯარის
უფროსს დერვიშ-ფაშას გაუკზავნა მიწე-
რილობა, რომ ბათუმიდამ და მთელი
ლაზისტანიდამ (?) გაიყვანოს ჯარები
და ეს მაზრა რუსებს დაუთმოა.

„მაგრამ ხალხი წინააღმდეგია ამ გან-
კარგულებისა; ის პირ-და-პირ აცხადებს,
რომ თითოეულად შეაკვდებიან რუსებს
და არ დაემორჩილებიან ამ ბრძანებას,
არ შეუერთდებიან რუსეთს. ამბობენ, რომ
არეულობა მოხდებოა.

„ბათუმსა და ტრაპიზონს შუა მცხო-
ვრებ ხალხს უკვე მოუკიდნიათ ხელი
თოფ-იარაღისათვის და გამოუცხადებიათ,
რომ, თუ მსმალეთის მთავრობა არ
დაიცვავს იმათ რუსებისაგან, მაშინ თვი-
თონ ეცდებიან დაიკვან თავის ქვეყანა.

„ამბობენ, რომ ლაზისტანის ზოგიერ-
თი გავლენიანი ბეგები ურიგებენ ხალხს
თოფ-იარაღს და ტყვია-წამალს და უქა-
დაგებენ იმათაო, რომ რუსეთს არ დაე-
მორჩილოთო.“

მენის გაზეთის „Presse“-ის სიტყვით,
ინგლისელებს მიუმხრიათ თავისკენ რამ-
დენიმე ჩერქეზები, რომელთაც თავისი-
ანებში დიდი გავლენა აქვთო და ესენი
დაპირებიათ, რომ, თუ რამი იქნება,
უკანასკნელი 40,000 ჩერქეზს გამოი-
ყვანთ ბრძოლის ველზე რუსეთის წინა-
აღმდეგოა.

ამავე გაზეთის ლონდონელი კორ-
რესპონდენტი გვაცნობებს:

„მე მქონდა ამ უკანასკნელ დღებში
ლაპარაკი რამდენსამე წარჩინებულ პირ-
თან, რომელთაც კარგათ იციან პოლი-
ტიკური გარემოება და ამბები და ყვე-
ლასი ამათი ჰაზრი ის არის, რომ ეს
განხეთქილება რუსეთსა და ინგლისს შუა
უბრძოლველად არ გათავდებოა.

„მას შემდეგ, რაც რუსეთი ცდილობს
ბერმანისთან დაახლოებასა და დაკავ-
შირებას, ინგლისიც თავის მხრით საფ-
რანგეთს უახლოვდება, მიკვენ მოგვხს-
ნებათ, რომ ახლანდელნი გამგებელნი
საფრანგეთისა (რესპუბლიკელები) წინა-
აღმდეგნი არიან რუსეთისა და ბერმანი-
ის ერთმანერთთან დაკავშირებისა, რად-
გან ეს დაკავშირება ამ ორ უიმისოთაც
ძრიელ სახელმწიფოს უფრო მომეტე-
ბულ ძალასა და გავლენას აძლევს მ-
როპაში. ამიტომ, თუ რამ მოხდა, უნ-

და ვითქროთ, რომ საფრანგეთი ინგ-
ლისის მხარეს დაიჭერს და ბრძოლაში
მიიღებს მონაწილეობას.

„ლონდონიდან იწერებიან, რომ ბალ-
ტიის ზღვისაკენ გასაგზავნ სამხედრო
ხომალდებს ინგლისი პორტლენდის
ნავსადგურში აგროვებს და ამზადებსო.

„პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“
დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა სტამ-
ბოლიდამ 18 აპრილს მიღებული:

„რუმელიაში მცხოვრებ მუსულმანე-
ბისაგან მოუვიდა ინგლისის სტამბოლელ
ელჩს დეპუტაცია, რომელმაც გამოუ-
ცხადა იმას, რომ, თუ რუსეთთან რამი
ატყდა, ჩვენ 40,000 კაცს მოვახმართო.“

ამავე გაზეთის სიტყვით, მგვიბტეს ქე-
დივსაც გამოუცხადებია ინგლისისთვის,
რომ 20,000 კაცს მოვახმართ რუსეთის
წინააღმდეგ ბძოლაშიო და ამას გარდა
რამდენსამე სამხედრო ხომალდსაც გა-
თხოვებთო.

ზაზეთს „Indép. Belge“-ში იწერები-
ან სან-სტეფანოდამ:

„მე დამარწმუნეს, რომ რუსებს ყვე-
ლაფერი მზათა აქეთ აქაო, რომ ინგლი-
სთან რამი გამოცხადებისა-თანავე დაი-
ჭირონ სტამბოლი და ბუიუქ-დერე. ამას
გარდა დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკო-
ლოზის ძის ბრძანებით, ერთი დივიზია
გაიგზავნა ამ დღებში როდოსტოსაკენ
იმ განზრახვით, რომ, როცა საჭიროება
მოითხოვს, ბალიბოლოს დაეცნენ. მაგ-
რამ ეს ნახევარი კუნძული ისეთ ნაირად
არის, როგორც ამბობენ, ინგლისელე-
ბისა და მსმალეები აგან გამაგრებულნი,
რომ იმის აღება და ამ მხრით ღარდა-
ნელის წყლის დაპყრობა რუსებს არ შე-
უძლიანთო.“

ზემოხსენებულივე კორრესპონდენ-
ტი გვაცნობებს, რომ რუსის სამხედრო
მთავრობამ ბრძანება გამოცხადა 14 აპ-
რილსაო, რომ დღეის შემდეგ ყველა
აფიცრები და სალდათები თავის ალაგას
იყვენ და აღარაფინ აღარ იქნეს დათ-
ხოვნილიო.

ზაზეთს „Times“-ში იწერებიან ბერ-
ლინიდამ, რომ აქაურ ბანკირებს ჰქონ-
დათ ამ დღებში კრება და გადაწყვიტე-
სო, რომ რუსეთს ფულს ვერ ასესხებ-
ნო. ამის გამო, ამბობენ, რომ რუსეთი
ახლა ამერიკის ბანკირებთან ცდილობს
საქმის დაჭერასაო.

საბაასო

უფ. ა. ჰიზინაძის კორრესპონდენ-
ციაზედ.

(„ღრეობა“, № 79)

იმ წინადადებაში, რომელიც იყო შე-
მოტანილი აქაურ ქალაქის ჩრევაში 20
ამ აპრილს თვისა, და რომელიც მდგო-
მარეობდა მასშიდ, რომ მუთათისის სამო-

ქალაქი საზოგადოებას და შუთაისის ლუბერნიის თავად-აზნაურობას ავშენათ აქ, შუთაისში, სანახევროთ თავიანთი ფულითა ერთი იმისთანა დიდი სახლი, რომელშიაც მოთავსებულნი იყვნენ რიგიანად აზნაურობის ბანკი და საქალაქო სამმართველობა (უპრავე და ღუმე), ეგრეთვე დეპუტატსკი საბრანიე და სხვა რამეები, — და იმ დიდ სახლში აშენებულნი იყვნენ ერთი ზალაცა დამტევი ათასის კაცის კრებისა, — უფ. ა. ჭიჭინაძე ხელმძღვანელი იყო მისი მიუცილებელი საჭიროებას, ისეთ ცხად სარგებლობას, და ისეთ სიადვილეს ამოდენი სახლის აშენებაში, რომ გაკვირვებულა, თუ როგორ ვინმე წინააღმდეგობა აღმოაჩინა ამისა, — და ამის გამო გულ-მოსულს აღარ დაუზოგვია უკადრის სიტყვებით გამოლანძღვა მათი, რომელთაც გაბედეს მასხედ წინააღმდეგობა.

ამ წინადადებაზედ დაკითხულ იქმნა ჩიჭინაძე 27 ხმითა რომელითა ვინმე შეიძინა არ იყვნენ თანახმანი და ამ შეიძინა გახლდით მცეცა.

უფ. ა. ჭიჭინაძე თავის გულთა მხილავ ნიჭიერებითა სხვა ვერას აწერს იმ შეიძინა კაცის უარის განცხადებასა, თუ არ მასს, რომ ამ პირებს თითონ არ მოუვიდნათ ფიქრში ეს მეცნიერი მოაზრება, ეს ქვეყნის გამკეთებელი ბედნიერება, რომელსაცა შეიცვამდა ხსენებული წინადადება — და იტყვის უფ. ა. ჭიჭინაძე:

„შოველთვის მოიძებნებოდა ისეთი კაცები, რომელთა ვიწრო თავმოყვარეობა სუბილურათ გამოჰყოფს თავსა, როგორც კი იქნება შემოტანილი რომელიმე წინადადება სხვებისაგან და არა ამ თავმოყვარე კაცებისაგან...“

ზარდა ამისა იმ შეიძინა კაცის უარის თქმასა უფ. ა. ჭიჭინაძე მიაწერს კიდევ იმასა, რომ ისინი ფრანგები და არა ქუთათურები და ისეთ განმარტებას აძლევს მათ კაცობას, რომ ესენი გამოჰყავს მას იმისთანა პირებათ, რომელთაც მამულის და შუთაისის საზოგადოების ინტერესი არ მიაჩნიათ არაფრათა, — და უეჭველად ამას ასე ჰფიქრობს უფ. ა. ჭიჭინაძე მის გამო, რომ ამ შეიძინა პირთა არ გააჩნიათ მითომ შუთაისში არავითარი მამული, რომ ისინი არიან მითომ უშვილონი და უცხო ქვეყნის შთამომავალინი.

„და მართლათა ფრანგები არიან ესენი,“ ამბობს უფ. ა. ჭიჭინაძე. „ძლიერ ძვირათ ნახამს კაცი, რომ ესენი წინააღმდეგები არ იყვნენ ჩიჭინის დანარჩენი ნაწილისა და მერე იმ საფუძვლით, როგორც ზემოთ ვსთქვიო...“

მიკვირს ესრეთი მსუბუქი მსჯელობა, ესრეთი ცილისწამება, და ასე უკადრისი მოხსენება მათი, რომელთაც გაუბედნიათ თავიანთი ჰაზრის თავისუფლად წარმოთქმა საზოგადოებაში! მიკვირს ამგვარი დესპოტიური მოთხოვნისება, რომ მე ასე მგონია ეს საქმეო, მე ეს ასე მესმისო, და შენც უეჭველად ასე უნდა გესმოდესო და ვაი შენი ბრალი, თუ გაბედე შენ ჩემ სურვილზედ უთახმოზაო... არ დაგზოგამ არაფრითაო, გამოგიყვან სულელათა, ბრიყულ თავმოყვარე

რეთა, ორგულათა, ორპითათაო, სამშობლო ქვეყნის მუხანათად, ფრანგთ, გიურათო... ამ ერთ, ამნაირად ვილაპარაკებ, ვიქაქანებ ყველგან შენზედაო; ასე ამნაირად დავბეჭდამ გაზეთშიო — თუ გაბედე და სთქვი შეიძინა, როდესაც მე ვამბობ თეთრითა!

არა! არ არის საკადრისი ამისთანა მწერლობა პატროსან და განათლებულ კაცისთვის და მეტადრე უფ. ა. ჭიჭინაძისთვის, რომელსაც მიუღია თავის თავზედ მიძიმე მოვალეობა ყმარწვილების კეთილ-გონიერი აღზრდისა.

მართალია, ენა უძელოა და ენაზე კაცს ბევრი რამე მოადგება ხოლმე, მეტადრე, თუ გულ-ფიცხი და გულ-მოსულია; მაგრამ როდესაც კაცი თავის ნაფიქრს საბეჭდავთ გზავნის გაზეთში, რომ სხვებმაც წაიკითხონო, მაშინ ურიგო არ იქმნება, რომ იმ მწერალმაც მოიგონოს ეს ჭკვიანური და გამაფრთხილებელი ანდაზა: „ათჯელ გაზომეო და ერთხელ გამოსტერო...“ მეტადრე მაშინ, როდესაც შეეხება ის თავის ნაწერშიდ მისადმი უცნობ კაცის პატროსნებასა..

უფ. ა. ჭიჭინაძე, როგორც სჩანს იმის ნაწერიდან, ისეთ საზოგადო სარგებლობას ხელმძღვანელი და იმავე სახლში შუთაისის სამოქალაქო გამგებლობის (უპრავის და ღუმის) და მასთანვე აზნაურობის ბანკისა დაბინავებას, რომ საჭიროთაც არ ხელმძღვანელი დასამტევი უკლად წარმოგვიდგინოს ჩვენ რამე მოაზრება; მისი ჰაზრით, ეს არის აქსიომა, ისეთი ცხადი რამე, რომელიც არ მოითხოვს არავითარ დამტევიცებასა.

ჩემის ჰაზრით კი ამ შეერთებაში, ამ ორი სხვა-და-სხვა საზოგადოების ამხანაგობაში ერთ საზიარო მამულის შესაძენად და მიგ ერთად დასაბინავებლად არ იბრუნება არა ვითარი საჭიროება, არც სარგებლობა, და მომავალ დროისთვის ეს შეაშინაკება ერთს მამულში დარჩება შესავიწროებლად და სანაწურად ქალაქის საზოგადოებისთვის.

ზასაღვილებლად ამა საზიარო შენობისა უფ. ა. ჭიჭინაძე ეფუძნება მას, რომ მითომ ქალაქ შუთაისს ბევრი საშუალება აქვს ამისთანა შენობისთვისაო; მაგალითად თავისი საკუთარი ქვაო, კირი და სილაო; დავიწყებია მხოლოდ, რომ შუთაისს ამის გარდა აქვს საკუთარი სალორისის საფიცრე ტყე და საკუთარი რიონის წყალი კირის ასარევათ და ყალო-მიწა აგურის გასაკეთებლად.

ამგვარი გადგოლება ამოდენი, შენობისა, რომელსაც მოუწდება რამდენიმე ათასი თუმანი ემზავსება იმასა რომ კაცს სახლში რამდენიმე საყენი სილა ეყაროს და მის გამო სახლის აშენება მოინდომოს; ანუ ვინმე პედაგოგმა გაიადვილოს ასა, ანუ ორასი ყმაწვილის პანსიონის გახსნა იმ იმედით რომ სახლში ბატები მყავსო და შავირდებისთვის საწერათ ბატის ფრთის კალმის ყიდვა აღარ დამჭირდებაო.

მნლა კი მჯერა, რომ სწორეთ მართალი ამბავი უნდა იყოს ეს მოთხოვნა; სადღაც ერთ კაცს უპოვნია ცხენის ერ-

თი ნალიო და უთქვიო: ბარემ სამ ნალსაც ვიყიდო და მერე ერთ ცხენსა და უნავისაო; ისე რომ საქუთარო ცხენი მეყოლება და ცხენის უნავსა დამეხარჯებო, და იმაზედ კი აღარ უფიქრია, რომ ამდენი რამის საყიდავათ ექვსი შაურის მეტი არ ჰქონია მას ჯიბეში.

ნეტავ უანგარიშნია თუ არა უფ. ა. ჭიჭინაძეს, თუ რამდენ ეკონომიას შეარდგენს შუთაისის სამოქალაქო საზოგადოებისთვის იმ დიდ სახლის ასაშენებლად ისა, რომ შუთაისს აქვს თავისი საკუთარი ქვის და სილის მადნები? ნეტავ იცის, თუ არა უფ. ა. ჭიჭინაძემ — შუთაისის სამოქალაქო საზოგადოება რის პატრონია? რამდენი გასესხებული, ანუ ბანკში შეტანილი ფული აქვს მასა? შეუტყვი, თუ არა, რომ შუთაისის შემოსავალი უფრო ნიკლებია, ვიდრე მისი აუცილებელი ხარჯი? იცის, თუ არა, რამდენია ხიდის ვალი, რომელიც დღევანდლამდე უნდა გადახდილიყო და უფულობის გამო ვერ გადახდილა და რამდენია ხიდის დროებით შემოსავალი, რომელიც აქამდინაც უნდა მოსპობილიყო, მაგრამ უფულობის გამო ვერ მოსპობილა? იცის, თუ არა, რამდენი რამე, ისე საჭირო, როგორც სასამელი წყალი და საჭმელი პური, ეჭირება ამ ჩვენ შუთაისის და ეჭირება უმეტეს, ვიდრე სასახლის აშენება ათასი კაცის დამტევი ზალითა?


ღარწმუნებული ბრძანებოდეს უფ. ა. ჭიჭინაძე, რომ ვისაც პირველად მოუვიდა ფიქრში ამ გვარი სახლის აშენება, ის მისადარებელი არ არის არც შუტემბერგთანა, არც სტეფენსონთანა და სხვა ამ გვარ სახელოვან აღმომჩინებელ პირებთანა.

ღარწმუნებული ბრძანებოდეს, რომ გული მე არ დამწყვეტია, შური არ მომსვლია მით რომ მთელი საზოგადოებისთვის ამ გვარი გამაბედნიერებელი აღმოჩენა, როგორც შუთაისში სასახლის აშენება ცარიელი ჯიბითა და ნასესხი ფულითა, პირველს ფიქრში მე არ მომსვლია, არამედ მომსვლია ესრეთი ფიქრი სხვა შესანიშნავ პირსა.

უფ. ა. ჭიჭინაძეს ყოველივე გარემოება ამ ჩვენი ქალაქისა რომ შეტყობ და კარგათ რომ დაფიქრებულნიყო და ეანგარიშა ყოველივე ამ შენობის საგანზე, მაშინ ასე არ დასწერდა და სამოქალაქო რჩევაში ამ საგანზედ ჩვენს ლაპარაკზედ იტყობდა: „ჯერ ძილო და მერე სიზმაროვო!“ მაშინ არ გამოგვიმეტებდა იმ შეიძინა კაცსა ისე უკადრისად სახსენებლად, და იქნება კიდევ ეთქვა იმ ოც კაცზედა, რომ: „მშმაკებს ღვინო არ ჰქონდათ და რუმბებს ბერამდენო.“

3. თუმანიშვილი

შუთაისი, 26 აპრილს.



განცხადებანი ყაფვილ კაცს

გადიფიქციონით მცოდნეს ვრანტუ-
ფულის მენისას ჰურს აძლიოს ამ ენის
პრაქტიული და თეორიული გაკვეთი-
ლები. თუ საჭირო იქნება თანახმაა
სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში
წაჰყვებს მსურველს, ანუ თვით ქალაქში
დადგეს ოჯახში. აღრესის შეტყობა
„დროების“ რედაქციაში შეიძლება.
(5-1)

ვისაც ჰურს იყიდოს ხმელი საშუ-
ალობი ტყე, ფიჭვისა და ნაძვის, ფიც-
რები, სამი და ოთხი წლის განახერხი,
შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუ-
ტყიევის სადგომში, არსენალის ქუ-
ჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ
რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყველას, ვინც
შეგვიკვეთს. შიცრების გამოტანა ამ წლის
1 მაისიდან დაიწყება

ტყავის ქარხანა თვილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-
დაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომ
მელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთ-
თვის სასყიდლად ეჭირებთ, რომ ამ
ქარხანაში კეთდება და გუდაამ მოი-
კრება დამგადებული ყოველგვარი
ტყავი ფალავისთვის, უნაზიკისა, კარმ-
ტის და ფაბოტონებისა, ჩამოებისა ლა-
ნისა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ
საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტო-
რაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრე-
თვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვე-
თოს და გაუკეთებენ. წვირილ-წვირილად
ამ ქარხანის საქონელი იყიდება მალა-
ზიაში, სიონის პირ-და-პირ.
(25-16)

ანგარიში

რუისის გამსახსნებელ-შემანახველის ამხანაგობისა

1-ის იანვრიდან ვიდრე 1-ს აპრილამდინ 1878 წლისა.

შემოსავალი

გასავალი

	მან.	კაპ.
წილის ფული	191	„
სარგებელი დაჭერილი გასე- ხების ანუ მეორე ვადის მიცემის დროს	83-57	„
ჯარიმა	8	„
დაბრუნებული სესხი	789	„
სასარგებლოთ შემოტანილი	565	„
ნასესხი	428	„
სათადარიგო თანხა	13-41	„
სულ	2170	6

	მან.	კაპ.
წილის ფული	1	„
სესხათ მიცემული	1,377	„
სარგებელი ვადის წინათ გა- დახდილის სესხისა	6-8	„
ნასესხი	£00	„
სარგებელი ნასესხისა	1 65	„
მმართველობის ხარჯი	59-80	„
სხვა-და-სხვა ხარჯი	5-10	„
ბრუნვისა	13-41	„
სულ	1964	4

1-ს აპრილს 1878

წელისა იმყოფება:

	მან.	კაპ.
წილის ფული	1,123	65
სასარგებლოთ შემოტანილი	585	„
ნასესხი	988	„
სათადარიგო თანხა	14	93
წმინდა მოგება	11	2
სულ	2722	60

	მან.	კაპ.
სესხათ მიცემული	2470	95
დაჩენილი ნაღდ ფულათ ყუთში	251	66
სულ	2722	60

ა. შიხაილ ქლიმიევი
სოსია მღვბრიშვილი
მსტატე ბუზიაშვილი.

თვილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს
საყოველთაოთ, რომ, იმის თანადასწ-
რებით, ამ 10 მაისს იქნება მხოლოდ
ერთხელ ვაჭრობა ქალაქის 1300 შან-
რის ნაშთით განათებისა იჯარით
მიტემაჲდ.

მსურველს შეუძლია პირადათ განაც-
ხადოს ქალაქის შამგეობაში თავის პირ-
ობები (ფასები) ვაჭრობის დროს; შეი-
ძლება აგრეთვე დაბეჭდილი კანვერტით
წარდგენა თავის პირობებისა.

ქალაქის შამგეობისაგან შედგენილი
კონდიციები (პირობა) მსურველს შეუძ-
ლიან ნახოს უპირადად მუდამ დღეს
უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან
ნაშუადღეის პირველ საათამდინ.

რბ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ.	გაზანდა	მან.	კაპ.	თვილისის სამკურნალო.
თვილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თვილისიდან:		თვილისი, 27 აპრილს			მრეწვის მედანზე, წინამძღვარების
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1	შქე. თ. ბანჯისა, ფთ.	2		სახლებში.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი	170		ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	ჭერი ფული	150		კვირას გარდა, დილის 8-10 მდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავას	2	ბაზა მრეწვისა, ფუთი	750		მ რ შ ა ბ ა თ ს: მინკვიჩი-ხირუ-
ქვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შევიტარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	850		რგი, ლისიცივი-შინაგ. ავთმყოფ.
რსონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	11		ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფთ.	720		მარქაროვი-შინაგ. ავთმყოფობის,
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76			— თარაქამისა ფთ.	430		თამაშველი-თვალის.
შოთი	9 40		9 75	5 42			აბრეშუმი ნუბური სტ.	2		მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი-ში-
					ა) თვილისიდან: სამზღვარ გა- რეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. მსურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს— სამშ. და შაბ. ბ) ჭუთაისიდან: თვილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს— ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუბური სტ. ჭონი, ფუთი	610		წავანი ავთმყოფ., ქიუჩარიაცი—ვე-
შოთი	9 13		1 18	66			ჭონის სანთელი ფუთი.	8		ნერიულის.
ახ.-სენაკი	—		2 61	14			სტეარინის სანთელი, ფ.	1340		ს უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინა-
სამტრედია	11 16		3 41	69			ხორცი ძროხისა, ლიტ.	99		განი ავთმყოფობისათვის.
რიონი	12 13		3 98	21			— ცხვრისა, ლიტრა	90		პ ა რ ა ს კ ე ე ს: ლისიცივი და ასა-
ქვირილა	1 18	ლაგე	5 33	2 96			სპირტი, ვედრო	520		ტუროვი—შინაგ. ავთმყოფ. და მინ-
სურამი	5 12	1 10	5 84	3 24			შაქარი, ბროც. ფუთი	840		კვიჩი—ხირურგ.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			— ფხვნილი ფუთი	640		შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარქა-
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9			შავა გრგვალი, გირვ.	70		როვი—შინაგანი ავთმყოფობის, ქიუ-
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4			ჭეთი ქუჩჯუთისა ფუთ.	12		ქიუჩარიაცი—ყურის და ხირურგულ
თვილისი	9 31	7 56	9 75	5 42			თამაქა, საშუალო ფუთი	850		ავთმყოფ. და თამაშველი—თვალის.